



ISAB

უსაფრთხოების საკითხებში მრჩეველთა
სამეთაუროდისო საბჭო

2005 წლის ანგარიში

INTERNATIONAL SECURITY ADVISORY BOARD

ISAB REPORT 2005

თბილისი, ივნისი 2005
Tbilisi, June 2005

**საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწის ეროვნული
უშიშროების საკითხებში – ეროვნული უშიშროების
საბჭოს მდივნის, გელა ბეჟუაშვილის წინასიგყვაობა
უსაფრთხოების საკითხებში მრჩეველთა საერთაშორისო
საბჭოს 2005 წლის ანგარიშის მიმართ**

უსაფრთხოების საკითხებში მრჩეველთა საერთაშორისო საბჭომ საქართველოში მოღვაწეობა დაიწყო 1998 წელს. მისი მთავარი დანიშნულება გახლდათ, ეროვნული უშიშროების საბჭოს მეშვეობით, უზრუნველყო საქართველოს ხელისუფლება მაღალი დონის მიუკერძოებელი რჩევებით და რეკომენდაციებით საქართველოს უსაფრთხოების სექტორის რეფორმირებისა და მოდერნიზაციის საკითხებთან დაკავშირებით. უსაფრთხოების სექტორის დემოკრატიული სტანდარტების შესაბამისად რეფორმირება წარმოადგენს ძირითად წინაპირობას საქართველოს ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისათვის.

იმ პერიოდში ბევრს მიაჩნდა, რომ საქართველოში დემოკრატიული გარდაქმნების განხორციელება და მისი ინტეგრაცია ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში შორეულ, ან სულაც ილუზორულ პერსპექტივას წარმოადგენდა. განსაკუთრებით რთული ჩანდა უსაფრთხოების სექტორის რეფორმირების საკითხი, რომელიც საბჭოთა გოგალიგარული სისტემის პრინციპების მიხედვით იყო მოწყობილი. მსგავსი სისტემა არ შეესაბამებოდა დემოკრატიული სახელმწიფოს მოთხოვნებს და ვერ უზრუნველყოფდა საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებას.

თავისი მოღვაწეობის პერიოდში საბჭოს წევრებმა განახორციელეს მეგად ნაყოფიერი და შრომატევადი სამუშაო. მათ შეისწავლეს საქართველოს უსაფრთხოების სექტორში არსებული ვითარება და მოამზადეს რეკომენდაციები მისი დემოკრატიული სტანდარტების შესაბამისად რეფორმირებისათვის. ყოველწლიურად, ეროვნული უშიშროების საბჭოსადმი წარდგენილ ანგარიშში, საბჭო ახდენდა რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შეფასებას და შეიმუშავებდა რჩევებს შემდგომი მოქმედებისათვის.

2005 წელს უსაფრთხოების საკითხებში მრჩეველთა საერთაშორისო საბჭომ დაასრულა საქართველოში მუშაობა და წარმოადგინა საბოლოო ანგარიში. მასში აღნიშნულია რეფორმების განხორციელებისას მიღწეული პროგრესი, რომელიც განსაკუთრებით ღინამიური გახდა “ვარდების რევოლუციის” შემდეგ.

ამასთანავე გამოყოფილია, ის სფეროები, სადაც შემდგომი მოქმედებაა საჭირო.

საქართველოს ხელისუფლების სახელით მსურს მაღლობა გადაეუხადო საბჭოს თითოეულ წევრს საქართველოს უსაფრთხოების სექტორის რეფორმირების საქმეში მათ მიერ შეტანილი წვლილისათვის. აქვე აღნიშნავ, რომ ჩვენ ყველა ღონეს ვიხმართ, რათა საბჭოს მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები სრულად და დროულად შესრულდეს. ეს ხელს შეუწყობს საქართველოში თანამედროვე, ეფექტიანი უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც მაქსიმალურად შესძლებს ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფას და შესაბამისობაში იქნება დემოკრატიულ სტანდარტებთან.

შესავალი

არაოფიციალური თარგმანი

1. უსაფრთხოების საკითხებში მრჩეველთა საერთაშორისო საბჭო (ISAB) დაარსდა 1998 წელს საქართველოს მთავრობის თხოვნის საფუძველზე. მრჩეველთა საბჭოს მთავარი დანიშნულება გახლდათ, ეროვნული უშიშროების საბჭოს მეშვეობით, უზრუნველყო საქართველოს მთავრობა მაღალი დონის მიუკერძოებელი რჩევებითა და რეკომენდაციებით საქართველოს უსაფრთხოების სექტორის რეფორმირებისა და მოდერნიზების საკითხებთან დაკავშირებით.

2. მრჩეველთა საბჭომ თავისი პირველი ანგარიში წარადგინა 1999 წლის მაისში. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენდა საქართველოს უსაფრთხოების სექტორში იმ დროისათვის არსებული სიტუაციის ყოვლისმომცველ მიმოხილვას. იგი შეიცავდა როგორც ზოგად, ასევე კონკრეტულ წინადადებებს უსაფრთხოების სექტორის ევრო-ატლანტიკური სტანდარტების შესაბამისად მოდერნიზებისათვის. რეკომენდაციები უნდა განხორციელებულიყო კონკრეტულ ვადებში. პროცესის საბოლოოდ დასრულება გათვალისწინებული იყო 2004 წლის ბოლოსთვის. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭომ მიიღო 1999 წლის ანგარიშში დაფიქსირებული რეკომენდაციები და შესაბამის უწყებებს პრეზიდენტის ბრძანებულებით მიეცათ დავალება მათ განსახორციელებლად. მრჩეველთა საბჭოს განემარტა, რომ სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით, აღნიშნული პროცესი განხორციელდებოდა თანამიმდევრულად. იგი ჯერ მოიცავდა თავდაცვის სამინისტროს, შემდგომ საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტს, შინაგან საქმეთა სამინისტროს და სხვა უწყებებს. მრჩეველთა საბჭოს ეთხოვა მონიტორინგი გაეწია რეფორმების პროცესისათვის. 1999 წლიდან დღემდე მრჩეველთა საბჭომ წარადგინა რამოდენიმე წლიური ანგარიში და მემორანდუმი, სადაც ასახული იყო პროგრესი რეკომენდაციების შესრულების გზაზე, აგრეთვე ის სფეროები სადაც შემდგომი მოქმედება იყო საჭირო. ბოლო ანგარიში წარმოდგენილ იქნა 2004 წელს, საქართველოში ხელისუფლების ცვლილების შემდეგ.

3. მისი ფუნქციონირების პერიოდში მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში იყვნენ:

- გენერალი სერ გარი ჯონსონი (დიდი ბრიტანეთი), თავმჯდომარე, 1998-2005
- ბატონი ლაური ალმანი (ესტონეთი), 2003-2005
- კონტრ-ადმირალი რაიმუნდას ბალტუშტა (ლიტვა), 2002-2005
- დოქტორი ატის ლეჯინსი (ლატვია), 2003-2005
- ელჩი იური ლუიკი (ესტონეთი), 2002-2003
- ბატონი დევიდ ოკმანეკი (აშშ), 1999-2001

- გენერალი პენინგ ფონ ონდარცა (გერმანია), 1999-2001
- ელნი დევიდ სმიტი (აშშ), 2002-2005
- გენერალ-მაიორი ფრანც ვერნერი (გერმანია), 2002-2005

4. მრჩეველთა საბჭო სარგებლობს შემთხვევით და მადლობას უხდის საქართველოს ხელისუფლებას მხარდაჭერისა და თანამშრომლობისათვის, რომელსაც ის უწევდა საბჭოს მუშაობის პერიოდში. საბჭო ასევე დადებითად აფასებს საქართველოს იმ მოქალაქეთა საქმიანობას, რომლებიც მონაწილეობდნენ ამ პროცესში.

მიზნები

5. მრჩეველთა საბჭოს 2005 წლის ანგარიში მიზნად ისახავს:

- მიმოიხილოს პროგრესი 1999 წლის ანგარიშში დაფიქსირებული რეკომენდაციების შესრულების და რეფორმების მიმდინარეობის თვალსაზრისით
- შეაფასოს დღევანდელი მდგომარეობა
- აღნიშნოს ის სფეროები, სადაც მუშაობა დასრულებული არ არის.

გასცეს რეკომენდაცია, თუ რომელ სეგმენტში შეიძლება იქნას მიღწეული შემდგომი პროგრესი

პროგრესის შეფასება რეკომენდაციების შესრულების თვალსაზრისით

6. 1999 წლის და შემდგომ ანგარიშებში დაფიქსირებული რეკომენდაციები და რჩევები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად:

- რეკომენდაციები ეროვნულ დონეზე
- რეკომენდაციები სამინისტროს/უწყების დონეზე

რეკომენდაციები ეროვნულ დონეზე

7. 1999 წლის მოხსენებაში მოცემული იყო რეკომენდაციები მთლიანად ეროვნული უსაფრთხოების სექტორის რეფორმირების პროცესისა და სექტორის შიგნით ეროვნული სტრუქტურების ჩამოყალიბებისა და კოორდინაციისათვის. აღნიშნული რეკომენდაციები ეხებოდა:

- უსაფრთხოების პოლიტიკას
- სახელმწიფო უშიშროების სტრუქტურებს
- ცენტრალურ კონტროლსა და კოორდინაციას
- დემოკრატიულ ზედამხედველობას
- ენის ცოდნას

უსაფრთხოების პოლიტიკა

8. 1999 წლის მოხსენების თანახმად, რეფორმა რომ წარმატებული ყოფილიყო, იგი უნდა დაყრდნობოდა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას, რომელიც ნათლად და არაორაზროვნად ჩამოაყალიბებდა საქართველოს ეროვნულ მიზნებსა და მათი მიღწევის სტრატეგიას. ამ პოლიტიკას უნდა ჰქონოდა ფართო მხარდაჭერა საზოგადოების მხრიდან, რათა მოეპოვებინა საერთაშორისო აღიარება და დახმარება. შესაბამისად, ჩვენი რეკომენდაცია იყო, მთავრობის მიერ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის დოკუმენტის შემუშავება, რომელიც მხარდაჭერილი იქნებოდა პარლამენტის მიერ.

9. საქართველოს საგარეო და უშიშროების პოლიტიკა ჩამოყალიბებული იყო 2002 წელს შემუშავებულ დოკუმენტში “საქართველო და მსოფლიო: მომავლის ხედვა და სტრატეგია.” მისი წარდგენა საზოგადოებისთვის მოხდა საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი თავმჯდომარეობდა. ამ დოკუმენტიდან ნათელი გახდა, რომ საქართველო ევრო-ატლანტიკურ თანამეგობრობასა და ინსტიტუტებში სრულფასოვან ინტეგრაციას ესწრაფვის. აღნიშნულმა დოკუმენტმა დასახა საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის კურსი, რომელსაც ქვეყანა დღემდე განუხრელად მისდევს. მას შემდეგ საქართველომ უფრო ღიად განაცხადა, რომ იგი ნატოსა და ევროკავშირში წევრობას ესწრაფვის და ამ მიზნების მისაღწევად ქვეყნის შიგნით კონკრეტული ნაბიჯები გადაიღვა. პოლიტიკის ჩამოყალიბება გაგრძელდა ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმაში (IPAP), რომელიც საქართველომ და ნატო-მ 2004 წელს შეათანხმეს. ამგვარად, საქართველოს სტრატეგიული ეროვნული მიზნები ნათელია. ამ და წინა მოხსენებათა ყველა რეკომენდაცია მოწოდებულია საქართველოს დაეხმაროს თანამედროვე და ეფექტური უსაფრთხოების სექტორის ჩამოყალიბებაში, რაც მას ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევაში დაეხმარება.

10. ხანგრძლივი მოსამზადებელი სამუშაოს მიუხედავად, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია ჯერაც არ შექმნილა, მისი მომზადება ეროვნული უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელობით მიმდინარეობს. დაგეგმილია მთავრობის მიერ კონცეფციის პარლამენტისათვის 2005 წლის დასაწყისში წარდგენა. პარლამენტის თავმჯდომარემ დაარწმუნა მრჩეველთა საბჭო, რომ აღნიშნულ დოკუმენტს ჯეროვანი ყურადღება დაეთმობა. ჩვენი რეკომენდაციაა ამ პროცესის დროულად დასრულება.

სახელმწიფო უსაფრთხოების სტრუქტურები

11. 1999 მოხსენებაში საქართველოში არსებული 7 ძირითადი სამხედრო ელემენტი იყო მოცემული:

- შეიარაღებული ძალები

- ეროვნული გვარდია
- სასაზღვრო ჯარები
- შინაგანი ჯარი
- დამოუკიდებელი (მოიერიშე) ბრიგადა
- პოლიციის სპეცდანიშნულების შენაერთი
- სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური

12. მოხსენება ამტკიცებდა, რომ ცუდად განსაზღვრული მართვისა და კონტროლის სისტემა, სტრუქტურების დუბლირება და კოორდინაციის ნაკლებობა მშვიდობიან პერიოდში რესურსების ფლანგვას იწვევს, ხოლო კრიზისისა თუ ომის დროს, არეულობის პოტენციური წყაროა. მოხსენებაში რამდენიმე რეკომენდაცია იყო ვითარების გამარტივებისა და გაუმჯობესებისათვის.

13. ამ რეკომენდაციების მიხედვით იმთავითვე განხორციელდა ქმედებები დამოუკიდებელი (მოიერიშე) ბრიგადისა და პოლიციის სპეცდანიშნულების შენაერთის, შესაბამისად, თავდაცვის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურებში შერწყმისათვის. 2004 წლის დასაწყისში ჩატარებული არჩევნების შემდეგ ნაბიჯები გადაიდგა რათა ეროვნული გვარდია სრულად დაქვემდებარებოდა თავდაცვის სამინისტროს. ეროვნულ გვარდიას ჩამოერთვა საბრძოლო ფუნქციები და მას ამოცანებად განესაზღვრა რეზერვისტების გაწვრთნა, მობილიზაცია და სამოქალაქო ხელისუფლებისათვის დახმარების აღმოჩენა საგანგებო და სტიქიური უბედურების ვითარებებში. გარდა ამისა:

- შინაგანი ჯარი თავისი აღჭურვილობით შინაგან საქმეთა სამინისტროდან თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდა, რის შედეგადაც შინაგან საქმეთა სამინისტროს საპოლიციო და შიდა წესრიგის შენარჩუნებისთვის აუცილებელი არა-სამხედრო ფუნქციები დარჩა.
- საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი დაექვემდებარა შინაგან საქმეთა სამინისტროს და დაკარგა დამოუკიდებელი სტატუსი.

14. ამ ქმედებებით შესრულებულ იქნა თავდაპირველ რეკომენდაციათა უმრავლესობა, რომელიც მრჩეველთა საბჭომ შეიმუშავა სახელმწიფო უშიშროების სტრუქტურების რაციონალიზაციისათვის. თუმცა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური დამოუკიდებელ ორგანიზაციად რჩება.

15. ჩვენი შემდგომი რეკომენდაციის მიხედვით, მთლიანი რაციონალიზაციის პროგრამა სახელმწიფო უშიშროების სამინისტროსაც უნდა შეხებოდა, რაც ითვალისწინებდა ამ სამინისტროს სამოქალაქო დაწესებულებად გადაქცევას და მისი სტატუსის შემცირებას უწყების დონემდე. 2004 წელს შიდა და გარე დაზვერვის და სამხედრო კონტრდაზვერვის სამსახურებმა სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში მოიყარა თავი. 2004 წლის ბოლოს

სამთავრობო რეორგანიზაციების შედეგად სახელმწიფო უშიშროების სამინისტრომ თავისი, როგორც დამოუკიდებელი სამინისტროს სტატუსი დაკარგა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შეუერთდა. შესაბამისად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, საგარეო დაზვერვა ცალკე უწყებად ჩამოყალიბდებოდა და დაექვემდებარებოდა უშუალოდ პრეზიდენტს.

16. ზემოთ ჩამოყალიბებული რეორგანიზაციათა ეფექტი მდგომარეობდა სახელმწიფოში არსებული გასამხედროებულ ძალთა ცენტრების 7-დან 3-მდე შემცირებაში: თავდაცვის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური. ამან გააუმჯობესა ადრე არსებული ვითარება ორგანიზაციული კუთხით, მაგრამ ჩვენი აზრით, კვლავ არსებობს გაუმჯობესების საშუალება კოორდინაციის თვალსაზრისით. ამას მოხსენების ბოლოს შევხებით.

ცენტრალური მექანიზმები

17. 1999 წლის მოხსენების მიხედვით, ცენტრალურ სამთავრობო მექანიზმებში, უსაფრთხოების სექტორის კონტროლისა და კოორდინაციის გაუმჯობესების საშუალება არსებობდა. ეს განსაკუთრებით ეხებოდა უწყებათაშორის თანამშრომლობას, სადაზვერვო მონაცემების ანალიზსა და შეფასებებს, საგანგებო სიტუაციების წინასწარ დაგეგმვას, კრიზისების თავიდან აცილებასა და მართვას. ყოველივე ეს შედის სახელმწიფო უსაფრთხოების ძირითად ბირთვში. ამ მოხსენების ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო ეროვნული უშიშროების საბჭოს მოდერნიზება და გაძლიერება ამ ფუნქციათა უფრო ეფექტურად განხორციელების მიზნით.

18. ამ თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ ძალაში შევიდა ახალი კანონი ეროვნული უშიშროების საბჭოს რესტრუქტურისაციის, მისი ფუნქციებისა და უფლებამოსილების ხელახლა განსაზღვრასთან დაკავშირებით. დამტკიცებულ იქნა ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის ახალი სტრუქტურა, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის ხელმძღვანელობით. დაიწყო ორგანიზაციული რესტრუქტურისაციის, აპარატის მოსამსახურეთა რაოდენობის შემცირების, გაუმჯობესებული პროცედურების დანერგვისა და ახალი პერსონალის მოზიდვის პროცესი. ხორციელდება ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის თანამშრომელთა სწავლების პროექტი.

19. ცენტრალურ ფუნქციებთან მიმართებაში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ეროვნული უშიშროების საბჭოსთან სახელისუფლებო სპეციალური კავშირებისა და ინფორმაციის სააგენტოს დაარსების თაობაზე. ეროვნული უშიშროების საბჭოში შეიქმნება კრიზისების მართვის ცენტრი და სიტუაციათა მართვის ოთახი, რომელიც ხელს შეუწყობს უწყებათაშორის კოორდინაციას და კრიზისისა თუ საგანგებო ვითარების კოორდინირებულ

მართვას. მაგრამ ამ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად კვლავ დიდი სამუშაოა გასაწევი. ჩვენი რეკომენდაციაა ამ სეგმენტის პრიორიტეტულად ქცევა 2005 წელს გასაწევი სამუშაოებში.

დემოკრატიული ზედამხედველობა

20. საკანონმდებლო პროგრამა. საქართველომ განახორციელა მთელი რიგი რთული და მასშტაბური რეფორმები თანამედროვე დემოკრატიული სისტემის შექმნისათვის. ამ თვალსაზრისით უადრესად მნიშვნელოვანია, რომ ყველა რეფორმა კანონს ეყრდნობოდეს და რომ ყველა საკანონმდებლო ცვლილება, სამომავლო გეგმა და მათ შორის ურთიერთდამოკიდებულება გასაგები იყოს პარლამენტისა და ქართული საზოგადოებისათვის. ჩვენი რეკომენდაციაა, რომ პარლამენტის თავმჯდომარესთან ერთად, მთავრობამ ჩამოაყალიბოს და გამოაქვეყნოს უსაფრთხოების სექტორის რეფორმირებისათვის საკანონმდებლო ბაზის განვითარების, განხილვისა და მიღების პროგრამა, რაც ამჟამინდელი პარლამენტის მოქმედების პერიოდში უნდა დასრულდეს.

21. უკეთაა გაცნობიერებული ის როლი, რომელიც პარლამენტმა და საპარლამენტო კომიტეტებმა უნდა შეასრულონ უშიშროების სექტორზე დემოკრატიული ზედამხედველობის განხორციელებისას. უმჯობესდება კავშირები კომიტეტებსა და სამინისტროებს შორის. მაგრამ კვლავაც არ არის ჯეროვნად ჩამოყალიბებული კომიტეტების, როგორც ძალაუფლებათა განაწილების (ე.წ. შეკავებისა და ბალანსის) სისტემის ნაწილის როლი, შეზღუდონ აღმასრულებელი ხელისუფლების შესაძლებლობა, თვითნებურად განახორციელოს ძალაუფლება. ეს, განსაკუთრებით აქტუალურია იმ ვითარებაში, როცა აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები პარლამენტში დიდ უმრავლესობას ფლობენ. კვლავაც არის საჭიროება გაიზარდოს საპარლამენტო კომიტეტების და მათი აპარატების წევრთა შესაძლებლობები, რათა გაუმჯობესდეს კომიტეტების მუშაობის ეფექტურობა. ჩვენი რეკომენდაციაა საამისოდ, პროგრამის შემუშავება ამ სფეროში მომუშავე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციათა დახმარებით გასრულდეს.

22. არასამთავრობო ორგანიზაციები. ჩვენი მოხსენებები ხაზს უსვამდა უსაფრთხოების საკითხებზე საზოგადოების ცოდნისა და ინფორმირებულობის ხარისხის ამაღლების საჭიროებას კომპეტენტური, დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარების გზით. ამ სფეროში დიდი აქტიურობა შეიმჩნევა, რასაც ხელს უწყობს გარედან მიღებული დახმარება. ამჟამად სახეზეა უამრავი სხვადასხვა სახის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელთა ნაწილი აღიარებულია, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. ჩვენ ამას არ განვიხილავთ მთავრობის მხრიდან პირდაპირი ჩარევის სფეროდ, მაგრამ

ჩვენი რეკომენდაციაა ამ ტენდენციის, როგორც ღია და საჯარო დებატების მნიშვნელოვანი ელემენტის წახალისება, რომელიც დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთ ნიშანთვისებას წარმოადგენს.

23. საზოგადოებრივი ინფორმაციის სამსახურები. 1999 წლის მოხსენების თანახმად, უნდა მომხდარიყო მთავრობის შესაძლებლობების გაუმჯობესება საზოგადოების ინფორმირების თვალსაზრისით. ეროვნული საკითხების თანმიმდევრულად და დამაჯერებლად წარმოდგენა, როგორც შიდა, ისე საერთაშორისო არენაზე, ნებისმიერი ქვეყნის უსაფრთხოების სისტემის ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტია. მისი ეფექტურობისათვის საჭიროა პროფესიული უნარ-ჩვევები. ეს კვლავ რჩება სუსტ სფეროდ ნაკლებად შესაძინევი ეფექტური დაგეგმვითა და კოორდინაციით. ჩვენი რეკომენდაციაა ნაბიჯების გადადგმა ამ სფეროში ვითარების გასაუმჯობესებლად.

ენის ცოდნა

24. 1999 წლის მოხსენებაში რეკომენდირებული იყო ინგლისური ენის სწავლების ფართოდ დანერგვა უსაფრთხოების მთელ სექტორში. ეს არ ნიშნავს სხვა ენების მნიშვნელობის დაკნინებას, არამედ უნდა იყოს იმის გაცნობიერება, რომ ინგლისურ ენის კომპეტენტური ცოდნა ბაზისური მოთხოვნაა ევრო-ატლანტიკურ ორგანიზაციებთან მუშაობისა და ინტეგრაციის პროცესების დასაჩქარებლად.

25. 1999 წლის მოხსენებაში ასევე რეკომენდირებული იყო კოორდინირებული ეროვნული პროგრამის შემოღება ინგლისური ენის სწავლებისათვის. ეს არ გაკეთებულა, მაგრამ მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული თავდაცვის სამინისტროში, სადაც საერთაშორისო სწავლებებში, გაზრდილი მონაწილეობა და ნატო-ს წევრ ქვეყნებთან თანამშრომლობა “პარტნიორობა მშვიდობისათვის”, პროგრამის ფარგლებში ხელს უწყობს სამხედროებში ინგლისური ენის ცოდნის ამაღლებას. სხვა სფეროებში ნაკლები პროგრესი იქნა მიღწეული. ჩვენ ვიმედოვნებთ ჩვენს ადრინდელ რეკომენდაციას წამყვანი სამინისტროს ხელმძღვანელობით ინგლისური ენის სწავლების ეროვნული პროგრამის შექმნაზე. აქედან მიღებული სარგებელი, უსაფრთხოების სექტორის მასშტაბებს გასცდება.

რეკომენდაციები სამინისტროს/უწყების დონეზე

თავდაცვის სამინისტრო

26. ზედა დონის რეფორმა. ჩვენს ადრეულ მოხსენებებში მოცემული იყო თავდაცვის სამინისტროსთან დაკავშირებული მთელი რიგი რეკომენდაციები. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ზედა დონის რეფორმას

ეხებოდა. ჩვენი რეკომენდაცია იყო სამოქალაქო მინისტრის დანიშვნა და სამოქალაქო თავდაცვის სამინისტროს ჩამოყალიბება, რომელიც გამიჯნული იქნებოდა შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბისაგან. ნატო-ში აპრობირებული პრაქტიკის მიხედვით, ჩვენი რეკომენდაცია იყო გაერთიანებული შტაბის დაარსება შტაბის უფროსის მეთაურობით, რომელიც ცალკეულ სახეობათა შტაბებს შეცვლიდა და გაერთიანებული ოპერატიული შტაბის დაარსება, რომელიც შეიარაღებული ძალების სამი სახეობის ყველა ოპერატიულ შენაერთს უხელმძღვანელებდა. სამოქალაქო თავდაცვის მინისტრი დანიშნულ იქნა და დაფუძნდა სამოქალაქო თავდაცვის სამინისტრო, მაგრამ გენერალური შტაბი გაერთიანებულ შტაბად არ გადაკეთებულა და არც გაერთიანებული ოპერატიული შტაბი ამოქმედებულა. ჩვენი რეკომენდაციაა ქმედითი ნაბიჯების გადადგმა გაერთიანებულ სამსახურებთან დაკავშირებით და ამ სტრუქტურული ცვლილებებისათვის საჭირო საკანონმდებლო ჩარჩოს ჩამოყალიბება.

27. სახელმწიფოს უშიშროებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პრეზიდენტის, როგორც უმაღლესი მთავარსარდლის, თავდაცვის მინისტრისა და შტაბის უფროსის უფლებამოსილებებს შორის ურთიერთობას. ჩვენი რეკომენდაციაა, რომ თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს შეიარაღებული ძალების შტაბის სამეთაური სტრუქტურის რეფორმა ამ ურთიერთობის განხილვითა და მკაფიო განსაზღვრებით იყოს გამყარებული.

28. ჩვენ გვესმის, რომ თავდაცვის სისტემის სტრატეგიული მიმოხილვა (SDR) მომზადების პროცესშია და 2005 წლის ბოლოსთვის უნდა დასრულდეს. ჩვენ ვვლით, რომ სხვა დანარჩენთან ერთად, მასში დაწერილებით იქნება მიმოხილული საქართველოს შეიარაღებული ძალების აქტიური, სარეზერვო და ეროვნული გვარდიის კომპონენტთა როლები, მისიები, ორგანიზება, სტრუქტურული ერთეულები და რაოდენობა. ჩვენი რეკომენდაციაა თავდაცვის სისტემის სტრატეგიული მიმოხილვის მონაცემთა ასახვა “თავდაცვის თეთრ წიგნში” და თავდაცვის სამინისტროს მიერ ეროვნული სამხედრო სტრატეგიის სასწრაფო შემუშავება, რომელიც დამყარებული იქნება ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციასა და თავდაცვის სისტემის სტრატეგიულ მიმოხილვაზე.

29. ძალების სტრუქტურა და რიცხოვნება. ადრინდელ დოკუმენტებში საქართველოს შეიარაღებული ძალებისათვის საჭირო რიცხვად დაფიქსირებული იყო 13000-15000 აქტიურ სამსახურში მყოფი სამხედრო პირი. ეს მონაცემები გამოქვეყნდა თავდაცვის ორ თეთრ წიგნში რეფორმათა სხვა წინადადებებთან ერთად. ეროვნულ გვარდიასთან და შინაგან ჯართან დაკავშირებულმა ბოლო გადაწყვეტილებებმა ძალთა ნავარაუდები რიცხოვნების გაზრდა გამოიწვია. 2004 წლის დეკემბერში პარლამენტმა საქართველოს სამხედრო ძალების რაოდენობა 29,703 პირის ოდენობით დაამტკიცა. აქედან, 23,000 საქართველოს შეიარაღებულ

ძალებშია, 6,703 კი – სასაზღვრო ჯარებში. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების თანახმად, განხილვის პროცესშია სასაზღვრო ჯარების სამოქალაქო-საპოლიციო ქვედანაყოფად გარდაქმნისა და საქართველოს შეიარაღებული ძალების რიცხოვნების 20,000 შემცირების საკითხი ოთხი ბრიგადისაგან შემდგარი სტრუქტურით და გაზრდილი სარეზერვო ძალით. მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი 25-30%-იანი ზრდა იქნება ადრე დაგეგმილ რიცხვებთან შედარებით, რომლებიც ნატო-ში წარდგენილ საქართველოს ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმაშია დაფიქსირებული. ამასთან, იბადება შეკითხვა, რამდენად გასწვება ამ რიცხოვნებას საქართველოს შესაძლებლობები? ჩვენ ხაზს ვუსვამთ თავდაცვის სისტემის სტრატეგიულ მიმოხილვაში, ძალთა სტრუქტურისა და რიცხოვნების გულდასმითი ანალიზის მნიშვნელობას, რომელიც დაეყრდნობა შეთანხმებულ საფრთხეთა ანალიზსა და ეროვნულ სამხედრო სტრატეგიას. ამასთანავე, აუცილებელია განხორციელდეს საქართველოს შეიარაღებული ძალებისათვის გრძელვადიანი, რეალისტური საბიუჯეტო გათვლები.

30. ჩვენს ადრინდელ მოხსენებებში, მითითებული იყო რესურსების ფლანგვაზე, რაც ერთობ დამახასიათებელია სხვადასხვა სამინისტროებისა და უწყებების შიგნით, ცალკე საზღვაო და ცალკე საჰაერო კომპონენტების არსებობის პირობებში. ჩვენი რეკომენდაცია იყო ფუნქციითა რაციონალიზაცია, სადაც კი ეს შესაძლებელი იქნებოდა და მთლიანად სწავლებების, მხარდაჭერისა და ლოგისტიკის სტრუქტურის რაციონალიზაცია. ქვეყანას, რომელსაც საქართველოს ზომის შეიარაღებული ძალები გააჩნია, არ სჭირდება უფრო მეტი, ვიდრე ერთი საზღვაო ბაზა შესაბამისი მხარდამჭერი ინფრასტრუქტურით და ერთი საჰაერო ბაზა შესაბამისი მხარდამჭერი ინფრასტრუქტურით. ჩვენი რეკომენდაციაა ამ საკითხის დროულად გადაჭრა.

31. ინდივიდუალური და კოლექტიური წვრთნა. არსებობს ბატალიონისა და ბრიგადის დონეზე წვრთნების ყოველწლიური გეგმები, მაგრამ სხვადასხვა სირთულეები ხელს უშლის მათ სრულად განხორციელებას. შიდა მოვალეობების შესრულებამ და ერაყსა და კოსოვოში ქართველი სამხედროების სამსახურმა, მოგვცა ოპერატიული გამოცდილების მქონე, გაწვრთნილი სამხედრო მოსამსახურეების საკმაოდ დიდი რაოდენობა, მაგრამ ეს საჭიროებს გრძელვადიან პერსპექტივაში ფორმალიზებული სისტემის ჩამოყალიბებას. ერთხელ ნასწავლი და გაწვრთნილი ინდივიდუალური სამხედრო თუ ქვედანაყოფი მუდამ ამ მდგომარეობაში არ რჩება: საქართველოს შეიარაღებული ძალებში საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნებისათვის აუცილებელია ეფექტური წვრთნების უწყვეტი პროგრამა. ჩვენი რეკომენდაციაა საქართველოს შეიარაღებული ძალებისათვის დაგეგმილი ყოველწლიური წვრთნის ციკლის ეფექტური განხორციელება.

32. პერსონალი. 1999 წლის მოხსენებაში რამოდენიმე რეკომენდაცია იყო პერსონალთან დაკავშირებით. ამათგან ზოგიერთი შესრულდა, ან ახლა სრულდება. ჩვენ აღნიშნაეთ თავდაცვის აკადემიის სასწავლო პროგრამის ცვლილებას, დასავლეთში ნასწავლი ახალგაზრდა ოფიცრების უფრო დიდი რაოდენობით დანიშვნას შესაბამის თანამდებობებზე, სერჟანტების რანგირებული სისტემის დანერგვას, ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესებას, ხელფასების ზრდას, დროულად გაცემას და გაუმჯობესებულ სოციალურ პირობებს, ასევე სამსახურისა და ყოფის უკეთეს პირობებს, უკეთეს კვებასა და ჩაცმას.

33. თუმცა საჭიროა მოხდეს პროგრესი სამხედრო და სამოქალაქო პირების კარიერის მართვის სისტემის შემოღების თვალსაზრისით, რომელიც მჭიდროდ იქნება მიბმული ხელფასისა და შეღავათების ჩამოყალიბებულ სტრუქტურასა და პიროვნული განვითარების დამხმარე პროგრამასთან. ჩვენი რეკომენდაციაა, მოქმედება ამ სფეროში გახდეს პრიორიტეტი მომავალი წლისათვის.

34. სამხედრო კანონმდებლობა. 1999 წლის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ “სამხედრო სამსახურის თავისებური პირობების გამო, აუცილებელია ჯარისკაცების ქმედებას მართავდეს კანონებისა და წესდების სპეციალური კრებული.” ჩვენი რეკომენდაცია იყო, რომ თავდაცვის სამინისტრომ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტთან ერთად შეისწავლოს სხვა ქვეყნების შესაბამისი კანონები და შეიმუშავოს კანონთა კრებული, რომელიც შეესაბამება საქართველოს სამხედრო მოსამსახურეებს. ეს რეკომენდაცია არ ეხება იმ კანონებს რომელიც საჭიროა თავდაცვის სამინისტროს მოდერნიზაციისათვის. იგი ეხება კანონებს, რომლებიც განსაზღვრავენ სამხედრო მოსამსახურეების ქმედებებსა და დისციპლინას. მაგალითად, არსებობს მთელი რიგი ქმედებები, რომლებიც არ განიხილება როგორც კრიმინალი, ჩვეულებრივი კანონმდებლობის პირობებში, მაგრამ იქნება დასჯადი დანაშაული სამხედრო დისციპლინის სისტემაში. უნდა შემუშავდეს საკმარისად ნათელი კანონთა კრებული, რათა მეთაურის თითოეული დისციპლინარული მოქმედება ან ნებისმიერი სამხედრო წესი, მათ შორის სამხედრო პირის უფლება აპელაციაზე, იყოს დაფუძნებული კანონზე და საბოლოო ჯამში საქართველოს კონსტიტუციაზე. ამ მიმართულებით, მუშაობა დაწყებულია, მაგრამ კანონთა ამ კრებულის შემუშავება რჩება მწვავე საჭიროებად. შესაბამისად, ჩვენი რეკომენდაციაა, შეიქმნას სამხედრო მეთაურთა და სამართლის ექსპერტთა კომიტეტი, რომელიც მოახდენს საქართველოს სამხედრო კანონმდებლობის ძირფესვიან რევიზიას.

35. მენეჯმენტი. თავდაცვის სამინისტროს პროგრესი ფინანსური კონტროლის, აღჭურვილობის შესყიდვისა და შენახვის, ინფრასტრუქტურის მენეჯმენტის და ლოგისტიკური უზრუნველყოფის თანამედროვე სისტემების შემოღების

საქმეში არის ძალიან ადრეულ სტადიაზე, ისევე, როგორც სხვაგან საქართველოს მთავრობაში. ამ მხარდამჭერი ელემენტების განვითარება აუცილებელია საქართველოს შეიარაღებული ძალების ოპერატიული შესაძლებლობების გაუმჯობესებისათვის და მისი შემოღება უნდა მოხდეს რაც შეიძლება მალე. ჩვენი რეკომენდაციაა, სასწრაფო მოქმედება ამის მისაღწევად.

36. საგარეო დახმარება. 1999 წლის მოხსენება რეკომენდაციას იძლეოდა საგარეო დახმარების კოორდინირებული პროგრამის შემოღების შესახებ. ადრეული პერიოდიდან მოყოლებული, ორმხრივი სამხედრო დახმარება მოდიოდა მთელი რიგი ქვეყნიდან. პროექტები, რომელთა მიზანი იყო საველე ქვედანაყოფების ეფექტურობის ამაღლება, მოიცავდნენ აშშ-ს მიერ განხორციელებულ საქართველოს წვრთნისა და აღჭურვის პროგრამას და გერმანელების მიერ კოსოვოში სამსახურისთვის გაწვრთნილ ქვეითთა ქვედანაყოფებს. მთელი რიგი პროგრამები, განხორციელებული თურქეთის, დიდი ბრიტანეთის და სხვა სახელმწიფოების მიერ, მიზნად ისახავდნენ შესაძლებლობების უფრო ფართო კუთხით განვითარებას. მოსალოდნელია საგარეო დახმარების კოორდინაციის გაუმჯობესება დახმარების პროგრამებისათვის Caucasus Clearing House-ის შემოღების შედეგად. ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო პროგრამა იქნება ყველაზე მნიშვნელოვანი სტიმული რეფორმების შემდგომი პროგრესისა და ორმხრივი დახმარების პროგრამების კოორდინირებისათვის. შეუძლებელია ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო პროგრამის მნიშვნელობის გადაჭარბებული შეფასება, ყველა ზომა უნდა იქნას მიღებული მისი მიზნების მისაღწევად. ჩვენი რეკომენდაციაა, შემუშავდეს გაწვილი გეგმა, კოორდინირებული ნატო-სთან და პარტნიორ ქვეყნებთან, რათა მოხდეს საგარეო დახმარებისა და წვრთნის ყველაზე ეფექტურად გამოყენება და მოხდეს მათი მიზმა აღნიშნული პროგრამის განხორციელებასთან.

შინაგან საქმეთა სამინისტრო

37. პოლიცია და საზოგადოებრივი წესრიგი. გეგმები ამ სფეროს რეფორმირებისათვის მიზნად ისახავს პოლიციური და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კულტურისა და პრაქტიკის გარდაქმნას ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული მიზნის განხორციელების პროცესში, შინაგანი ჯარები თავიანთი ადჭურვილობით გადავიდა თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში. მხოლოდ მცირე ზომის ანტიტერორისტული ქვედანაყოფი დარჩა რეორგანიზებულ შინაგან საქმეთა სამინისტროში. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით არ არსებობს ეროვნული ჟანდარმერიის ჩამოყალიბების განზრახვა. ჩვენ არ გვაქვს ინფორმაცია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ფუნქციის შესრულების გეგმების შესახებ, რომლებიც ეროვნულ ჟანდარმერიას უნდა შეესრულებინა. ამ ფუნქციებს, რომელიც არსებობს საპატრულო პოლიციისა და სამხედრო ძალების ჩვეულებრივ მოვალეობებს შორის, აქვს

სასიცოცხლო მნიშვნელობა ქვეყნის შიგნით სტაბილურობის შენარჩუნების საქმეში. ჩვენი რეკომენდაციაა, პოლიციისა და საზოგადოებრივი წესრიგის სამინისტრომ მკაფიოდ ჩამოაყალიბოს გეგმები საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისას ფუნქციების განსაზღვრის თვალსაზრისით.

38. საპოლიციო სამსახური იქნება გაყოფილი ორ შტოდ. ფორმიანი პოლიცია, პირდაპირ კონტაქტში მყოფი საზოგადოებასთან, გარდაიქმნება რეგიონალური სტრუქტურის მქონე საპატრულო პოლიციად. ხელმძღვანელობისა და დაფინანსების მუნიციპალურ დონეზე გადაცემა განხორციელდება მომდევნო ორ-სამ წელიწადში. საწყისი ეტაპი იყო თბილისში ავტო-საპატრულო პოლიციის შექმნა და საზოგადოებისათვის გადაუდებელი დახმარების სატელეფონო ნომრის შემოღება. ეს სიახლეები, რომლებიც პოპულარობით სარგებლობს საზოგადოებაში, დანერგილი იქნება სხვა დიდ ქალაქებშიც. შეიქმნება კრიმინალური გამოძიების ეროვნული განყოფილება, რომელიც ტექნიკურ დახმარებას მიიღებს კომპიუტერიზაციისა და სასამართლო ექსპერტიზის საკითხებში. ინფრასტრუქტურა იქნება განახლებული. ჩვენი რეკომენდაციაა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნოს “თეთრი წიგნი,” რომელშიც მოცემული იქნება რესტრუქტურიზაციის გეგმები და ვადები, თავდაცვის სამინისტროში დამკვიდრებული მოდელის ანალოგიურად.

39. საზღვრის დაცვა. 2005 წლისათვის სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მოსამსახურეთა რიცხვი შემცირდა დაახლოებით 8,000-დან 6,703-მდე, რომელიც უმეტესწილად, დაკომპლექტებულია წვევამდებლებით. გერმანული მხრიდან რჩევებისა და დახმარების საფუძველზე, შემოღებულ იქნა ახალი სტრუქტურა. ძირითად სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე სამოქალაქო პირების განლაგების პროცესი დასრულდა, მიმდინარეობს სახმელეთო საზღვრის პატრულების დემილიტარიზაციის პროცესი. კანონი, რომელიც დაამტკიცებს ახალ ფუნქციებსა და სტრუქტურებს, ძალაში შევა 2005 წელს. ჩვენი რეკომენდაციაა, სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტმა გამოაქვეყნოს დეტალური მონაცემები ამ სამსახურის როლის, მისიების, სტრუქტურის და ზომის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს “თეთრ წიგნში.”

40. სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სანაპირო დაცვის ელემენტმა გაიარა მოდერნიზების წარმატებული პროგრამა, ძირითადად აშშ-ის დახმარებით. ეს არის ძლიერი ორგანიზაცია მკაფიო როლით და მისიით, მაგრამ ჩვენი რეკომენდაციაა, მოხდეს საზღვაო ძალებთან მიმართებაში სანაპირო დაცვის სამეთაურო და სამუშაო (იხ. პარ. 30) ურთიერთობების გადახედვა და მკაფიოდ განსაზღვრა.

41. ზემოაღნიშნული ორგანიზაციული რეფორმების დეტალურად განხორციელებაზე დაიხარჯება გარკვეული დრო. ამასობაში, ჩვენი

რეკომენდაციაა, ორგანიზაციულ გარდაქმნებს თან ახლდეს პერსონალისა და ფინანსების მართვის თანამედროვე სისტემების დანერგვა მთელ შინაგან საქმეთა სამინისტროში.

42. უშიშროება. 2003 წლის მოხსენებაში რეკომენდირებული იყო სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს გარდაქმნა დემილიტარიზებულ სამოქალაქო უწყებად, ფუნქციებისა და ინფრასტრუქტურის რაციონალიზაციით. 2004 წლის მარტში, ჩვენ შევიმუშავეთ რეკომენდაცია საშინაო და საგარეო დაზვერვის უწყებების მაშინდელი სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში გაერთიანების შესახებ. ამ სამინისტროს სამხედრო პერსონალი უნდა განთავისუფლებულიყო, უნდა შენარჩუნებულიყო მხოლოდ რუტინული უსაფრთხოების მიზნებისათვის განკუთვნილი სამხედრო პირების შეზღუდული რაოდენობა.

43. ზემოაღნიშნული რეკომენდაციების შესრულების თვალსაზრისით, გადაიდგა ნაბიჯები. წარსულში ორი ცალკეული უწყება გაერთიანდა სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში. სამინისტროს მოეხსნა საგამოძიებო და პროკურატურის ფუნქციები და ფოკუსირება მოხდა ძირითად ფუნქციებზე. არსებობს გეგმები სადაზვერვო პროცესის გაუმჯობესების თვალსაზრისით. სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს პერსონალის რაოდენობა შემცირდა. ამჟამად, სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო შერწყმულია შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და საგარეო დაზვერვა ექვემდებარება პრეზიდენტს. რესტრუქტურიზირებული სამინისტროს მთლიანი პერსონალის რაოდენობა ჯერ კიდევ არ არის განსაზღვრული. ჩვენი რეკომენდაციაა, მოხდეს ამ სფეროს განხილვა და მკაფიოდ განსაზღვრა დაგეგმილ “თეთრ წიგნში.”

44. შიდა დაზვერვის ფუნქციის მქონე უწყების დაქვემდებარებას შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი, რომლის მოვალეობაშიც შედის საშინაო საქმეები და სამართალდამცავი ფუნქციები, იძლევა ადმინისტრაციულ უპირატესობებს და არ წარმოადგენს უჩვეულო შემთხვევას. თუმცა, ეს მოდელი ახდენს უზარმაზარი ძალაუფლების თავმოყრას ერთ ორგანიზაციაში, რაც ქმნის პოტენციურ საფრთხეს ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისათვის იმ შემთხვევაში, თუ ზედამხედველობა არ არის მკაცრი და გამჭვირვალე. ჩვენი რეკომენდაციაა, რომ დემოკრატიული ზედამხედველობის სისტემა იყოს საჯარო, რაც გამოიწვევს საზოგადოების ნდობას რომ სისხლის სამართლებრივი გამოძიება, საშინაო დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ფუნქციები ხორციელდება კანონიერად და შესაბამისი წესების დაცვით.

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური

45. 1999 წლის მოხსენებაში და შემდგომში აღვნიშნავდით, რომ სახელმწიფო

დაცვის სპეციალური სამსახურის ამოცანები იყო მრავალმხრივი და მოქმედების ამგვარი გაშლა ასუსტებდა ღონისძიებათა კონცენტრირებას ამ უწყების ძირითადი ფუნქციების ეფექტიან შესრულებაზე. ჩვენ მოვახდინეთ ამ ძირითადი ფუნქციების იდენტიფიცირება:

- პრეზიდენტის დაცვა.
- უმაღლესი ოფიციალური პირების დაცვა.
- სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე სახელმწიფო ობიექტების დაცვა.

46. ჩვენი რეკომენდაცია იყო, მოხდეს რუტინული, მეორეხარისხოვანი ფუნქციების გადაცემა სხვა სამინისტროებსა და უწყებებზე. ამ მიმართულებით არანაირი მოქმედება არ შეინიშნება. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის საქართველოს სექტორის დაცვა გახდა ამ უწყების ერთ-ერთი ამოცანა. ეს რეალურად წარმოადგენს სახელმწიფო მნიშვნელობის დავალებას და გასაგებია არგუმენტი, რომ ჯერ-ჯერობით, სანამ სხვა რეფორმები ხორციელდება, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური წარმოადგენს ყველაზე შესაფერ სტრუქტურას აღნიშნული მისიის შესასრულებლად. ამის შედეგად, უწყების პერსონალის რაოდენობა გაიზარდა 5500-მდე.

47. ჩვენი აზრით, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური უნდა იყოს შედარებით მცირე ზომის, მაღალ დონეზე გაწვრთნილი ორგანიზაცია, ძირითადი აქცენტით სასიცოცხლო მნიშვნელობის ეროვნულ ამოცანებზე. ჩვენ გამოვთქვამთ შეშფოთებას, რომ ამ უწყების ქმედებების გაფართოებამ შესაძლოა, ხელი შეუშალოს კონცენტრირებას მის ძირითად მოვალეობებზე და შეასუსტოს მისი შესაძლებლობები მილსადენის უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ჩვენი რეკომენდაციაა, რომ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის როლისა და ამოცანების განხილვა მოხდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმის პროგრამასთან კავშირში, იმ თვალთახედვით, რომ ამ სამინისტროს გადაეცეს ის ამოცანები რომლებიც შეიძლება შესრულებულ იქნეს საპოლიციო ფუნქციების სახით.

მანკვებლები:

48. საქართველოს მისწრაფება, შეუერთდეს ევრო-ატლანტიკურ ორგანიზაციებს, გულისხმობს, რომ ყველა რეფორმა უსაფრთხოების სექტორში, ისევე როგორც სხვა სფეროში, უნდა შეფასდეს მათი ევრო-ატლანტიკური ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების კანონებთან, პრაქტიკასთან და პროცედურებთან შესაბამისობის მიხედვით. აღნიშნული ორგანიზაციებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი უსაფრთხოების სფეროში არის ნატო და ევროკავშირი. ახალი მთავრობისათვის წარდგენილ მემორანდუმში, 2004 წლის 1 მარტს, ჩვენ წამოვყენეთ მოსაზრება, რომ

საქართველოში უსაფრთხოების სექტორის რეფორმირების ღონისძიებები უნდა შეფასდეს 4 პრინციპის მიხედვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას მათი შესაბამისობა ევრო-ატლანტიკურ სტანდარტებთან. ესენია:

- დემოკრატიული სტანდარტები
- თავსებადობა
- კანონიერება
- მდგრადობა

49. საქართველოში რეფორმის პროცესის დემოკრატიული სტანდარტების მიხედვით განხორციელების აუცილებლობა, გასაგები და ფართოდ აღიარებულია. ასევე, კარგად ესმით ნატო-სა და ევროკავშირის პრაქტიკასთან შესაბამისობისა და აღჭურვილობის ურთიერთთავსებადობის საჭიროება. რეფორმებისათვის სამართლებრივი საფუძვლის შექმნა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს კომპონენტს პროცესის მდგრადობის უზრუნველყოფისათვის. მიმდინარეობს სათანადო კანონების მიღება და აუცილებელია პროგრამის ენერჯიულად გაგრძელება. პროცესის მდგრადობისათვის საჭიროა გრძელვადიანი გეგმების შემუშავება, რომელთა ხარჯები დათვლილი და გათვალისწინებული იქნება სახელმწიფო ბიუჯეტის გათვლებში. ეს სფერო უნდა გახდეს პრიორიტეტული, როდესაც დასრულდება მიმდინარე სტრუქტურული რეორგანიზაციები.

50. ჩვენ მივიჩნევთ, რომ ზემოთხსენებული 4 პრინციპი ძირითადად სრულდება. ჩვენ არ შეგვიინიშნავს რაიმე მნიშვნელოვანი ქმედება, რომელიც მიმართულია მათ წინააღმდეგ. თუმცა, ევრო-ატლანტიკურ ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებში ინტეგრაციისათვის მოსამზადებელ პერიოდში, ვფიქრობთ, საჭირო იქნება რაიმე ფორმით შემუშავდეს შეფასების ცენტრალური სისტემა, რომელიც მოახდენს რეფორმების მიმდინარეობის მიუკერძოებელ შეფასებას არამარტო უსაფრთხოების სექტორში, არამედ ყველა სამინისტროსა და უწყებაში. ჩვენი რეკომენდაციაა, ეს პასუხისმგებლობა დაეკისროს სახელმწიფო მინისტრს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში.

რეკომენდაციების შეჯამება

51. ამ მოხსენების წინა ნაწილში, ჩვენ გამოვთქვით მთელი რიგი რეკომენდაციებისა, 2005 წლის განმავლობაში რეფორმების პროცესის წინ წასაწვეად. აქ ჩვენ ვახდენთ მათ შეჯამებას და მხარს ვუჭერთ მათ განხორციელებას:

რეკომენდაციები ეროვნულ დონეზე:

52. ეროვნული უშიშროების საბჭოში:

ა. დაასრულოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია და უზრუნველყოს

მისი დემოკრატიული ლეგიტიმურობა პარლამენტის მხარდაჭერის მოპოვებით, (პარაგრაფი 10);

ბ. გააუმჯობესოს თავისი შესაძლებლობა საგანგებო სიტუაციის წინასწარი დაგეგმვის, სადაზვერვო მონაცემების შეფასებისა და გამოყენების, კრიზისების მართვისა და უწყებათშორისი კოორდინაციის თვალსაზრისით, (პარაგრაფი 19);

გ. ჩაატაროს კვლევა სახელმწიფოს ყველა სამხედრო-საავიაციო და სამხედრო-სახლგაო ქონების რაციონალიზაციისათვის, (პარაგრაფები 30 და 40);

დ. განიხილოს და მკაფიოდ განსაზღვროს პრეზიდენტის (როგორც უმაღლესი მთავარსარდლის), თავდაცვის მინისტრისა და შტაბის უფროსის შესაბამისი უფლებამოსილებები, (პარაგრაფი 27).

53. საქართველოს მთავრობამ:

ა. შეიმუშაოს და საჯაროდ გამოსცეს, პარლამენტის თავმჯდომარესთან ერთად, პროგრამა უსაფრთხოების სექტორის რეფორმირებისათვის საჭირო საკანონმდებლო ბაზის შემუშავების, განხილვის და რატიფიცირებისათვის, რაც უნდა დასრულდეს ამ მოწვევის პარლამენტის პერიოდში, (პარაგრაფი 20);

ბ. ხელი შეუწყოს ძლიერი, დამოუკიდებელი არასამთავრობო სექტორის განვითარებას უსაფრთხოების სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებზე საზოგადოების ცოდნის და მისი დისკუსიებში მონაწილეობის დონის ამაღლების მიზნით, (პარაგრაფი 22);

გ. განავითაროს საზოგადოების ინფორმირების უფრო ეფექტური სისტემა, (პარაგრაფი 23);

დ. დააკისროს რომელიმე სამინისტროს, წამყვანი როლი სახელმწიფო სამსახურში მყოფი პირებისათვის ინგლისური ენის ცოდნის გასაღრმავებელი ეროვნული პროგრამის წარსამართავად, (პარაგრაფი 25);

ე. დააკისროს სახელმწიფო მინისტრს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში, განახორციელოს უწყებათშორისი მონიტორინგი, თუ რამდენად შეესაბამება რეფორმისა და მოდერნიზების პროცესი ნატო-სა და ევროკავშირის სტანდარტებსა და მოთხოვნებს, (პარაგრაფი 50).

54. საქართველოს პარლამენტამ:

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით შეიმუშაოს პროგრამა პარლამენტის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით. პროგრამა უნდა შეიცავდეს ისეთ საკითხებს, როგორცაა: პარლამენტის წევრების განათლება საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში პარლამენტის სათანადო როლის შესახებ, ინფორმაციის დამოუკიდებლად შეგროვების უნარის გაუმჯობესება, საკომიტეტო სისტემის განვითარება, და ზოგადად, საქმიანობის უფრო ეფექტიანად წარმართვა, (პარაგრაფი 21).

რეკომენდაციები სამინისტროს დონეზე:

55. თავდაცვის სამინისტრომ:

ა. დაასრულოს გაერთიანებული შტაბის სისტემის და გაერთიანებული ოპერატიული შტაბის შემოღება (პარაგრაფი 26);

ბ. დაახქაროს პერსონალისა და ფინანსების მართვის ჯანსაღი სისტემების შემოღება (პარაგრაფები 33 და 35)

გ. განახორციელოს ეფექტიანი ყოველწლიური საწვრთნელი ციკლი საქართველოს შეიარაღებული ძალებისათვის, რომელიც მიზნული იქნება ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის შესრულებასთან და კოორდინირებული საგარეო დახმარების მომწოდებლებთან, (პარაგრაფები 31 და 36);

დ. შექმნას სამხედრო მეთაურებისა და სამართლის ექსპერტების კომიტეტი საქართველოს სამხედრო კანონმდებლობის ძირფესვიანი რევიზიის განსახორციელებლად (პარაგრაფი 34).

ე. გამოსცეს თავდაცვის „თეთრი წიგნი“, სადაც გაწერილი იქნება გეგმები და ვადები თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციის დასრულებისათვის. (პარაგრაფი 28).

56. შინაგან საქმეთა სამინისტრომ:

ა. ნათლად განსაზღვროს გეგმები საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ფუნქციის შესრულებასთან დაკავშირებით (პარაგრაფი 37).

ბ. გამოსცეს „თეთრი წიგნი“, სადაც დადგენილი იქნება გეგმები და ვადები შინაგან საქმეთა სამინისტროს მოდერნიზებისათვის (პარაგრაფები 38, 39, 43).

გ. შემოიღოს პერსონალისა და ფინანსების მართვის თანამედროვე სისტემები მთელს რესტრუქტურისებულ სამინისტროში (პარაგრაფი 41)

დ. საჯარო გახადოს საშინაო დაზვერვის და გამოძიების ფუნქციებზე დემოკრატიული ზედამხედველობის სისტემა (პარაგრაფი 44).

ე. სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურთან ერთად, განიხილოს ამ უკანასკნელის ამოცანები შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმის პროგრამასთან კავშირში (პარაგრაფი 47).

დასკვნა

57. ჩვენს 2004 წლის 1 მარტის მემორანდუმში, ვაღიარებდით რა, რომ რეფორმების პროცესის დამთავრებას წლები დასჭირდება, აღვნიშნეთ, რომ 2005 წლის მოხსენება, რომელიც წარდგენილი იქნებოდა 2005 წლის მარტში, შეაფასებდა, შეუქცევადია თუ არა, იმ დროისათვის რეფორმების პროცესში მიღწეული პროგრესი.

58. ქართველი ხალხის მისწრაფება იცხოვროს დემოკრატიულ, საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებულ ქვეყანაში, რომელიც ინტეგრირებულია ევრო-ატლანტიკურ თანამეგობრობაში, არის ძლიერი და ყველასათვის ნათელი. უფრო და უფრო იზრდება რწმენა რომ ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია. თუმცა, ყოველთვის ასე არ იყო. როდესაც 1999 წლის მოხსენება დაიწერა, ისინი, ვისაც ემინოდა ასეთი მომავლის, ბევრად მეტნი იყვნენ იმათზე, ვინც ამაზე ოცნებობდა, და ძალიან ცოტას სჯეროდა რომ ეს მოხდებოდა. ბოლო ხუთი წლის მანძილზე, სიტუაცია სტაბილურად იცვლებოდა. პრეზიდენტ სააკაშვილის მეთაურობით ახალი მთავრობის მოსვლამ კი ახალი სტიმული შესძინა რეფორმების პროცესს. სწრაფად იქნა მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც აუცილებელი იყო სხვადასხვა სფეროს მოდერნიზებისათვის. ამჟამად ეკონომიკა უმჯობესდება, სამთავრობო შემოსავლები მატულობს, საგარეო დახმარება იზრდება და ქვეყნის მშვიდობიანი გაერთიანების პროცესი დაიწყო. მოვლენათა მსგავსი განვითარება შესაბამის ასახვას ჰპოვებს, როგორც უსაფრთხოების, ისე სხვა სფეროებში. ცვლილებების ტემპი მნიშვნელოვნად გაიზარდა და ეჭვსგარეშეა, რომ ზოგადად სიტუაცია ბევრად უკეთესსკენ არის შეცვლილი.

59. ამისდა მიუხედავად, ეს არ არის საკმარისი რომ დავადასტუროთ რეფორმების შეუქცევადობა. ისტორიას ბევრი მაგალითი ახსოვს, როდესაც ქვეყნების პროგრესი სტაბილურობისა და კეთილდღეობისაკენ კალაპოტიდან იქნა ამოგდებული მოულოდნელი მოვლენების შედეგად. თუმცა, ჩვენ გვიჭირს განვჭრიტოთ ქვეყნის შიგნით მოვლენათა განვითარების ისეთი სცენარი, რომელიც შეცვლიდა აღებულ კურსს. პოლიტიკური სტაბილურობა, სოციალური ერთიანობა, მზარდი კეთილდღეობა და მუდმივი მხარდაჭერა მოკავშირეებისა და მეგობრების მხრიდან, გააძლიერებენ საქართველოს ნებას და პოტენციალს რეფორმების წარმატებით წარმართვისათვის.

60. უფრო პროზაული ტერმინებით რომ ვთქვათ, რეფორმების მდგომარეობა უსაფრთხოების სექტორში შეიძლება გარკვეული სიციხადით შეფასდეს. ისევე, როგორც სხვა სფეროებში, აქაც მნიშვნელოვანი წინსვლა შეიმჩნევა. ყველა გადაწყვეტილება რომელიც საჭირო იყო რეკომენდაციების

ეროვნულ დონეზე შესასრულებლად, მიღებულ იქნა და ძალაში შევიდა. რეკომენდაციების განხორციელების პროცესი ასახავს თავდაპირველად ჩამოყალიბებულ პრიორიტეტებს. შესაბამისად, ყველაზე მეტი პროგრესი თავდაცვის სამინისტროშია, სადაც თანამედროვე სისტემაზე გადასვლა წარმატებით მიმდინარეობს. საგარეო დახმარების პროგრამები და ინდივიდუალური თანამშრომლობის სამოქმედო გეგმის (IPAP) შესრულება დაასრულებენ ამ პროცესს ისე როგორც საჭიროა. დაუშვებელია ამ პროცესის შეფერხება. იგივე შეიძლება ითქვას სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტზე. ეს სამსახური საგარეო რეკომენდაციებისა და დახმარებების შედეგად წარმატებით გარდაიქმნება სამხედრო ძალიდან სამოქალაქო პოლიციურ უწყებად, რომელიც პასუხისმგებელია საზღვრის და იმიგრაციის კონტროლის საკითხებზე. შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროებმა დაიწყეს მოდერნიზაციის პროცესი უფრო გვიან და შესაბამისად რესტრუქტურირებულ შინაგან საქმეთა სამინისტროში პროგრესი ნაკლებია. ამის მიუხედავად, აუცილებელი გადაწყვეტილებები მიღებულია და აქაც, საგარეო დახმარების პროგრამები მიმდინარეობს, რათა ხელი შეუწყონ ამ გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გატარებას.

61. განვიხილავთ რა ყველა ამ მოვლენას ზემოთ აღწერილ სურათთან ერთად, ჩვენ დარწმუნებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ შეუქცევადობის კრიტერიუმი ახლოსაა შესრულებასთან. იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობს რაიმე გაუთვალისწინებელი მოვლენა, რომელმაც შეიძლება შეცვალოს ცვლილებათა მიმდინარეობა, ხოლო მთავრობა განაგრძობს რეფორმების დაფინანსებას და მზად არის მათ დეტალურად განსახორციელებლად, ჩვენ მიგვანია, რომ სიტუაცია კიდევ უკეთესსკენ შეიცვლება. შეუქცევადობა მიიღწევა, როდესაც რეფორმები გამაგრებულია სათანადო სამართლებრივი ბაზით, მათი მიმდინარეობა და განხორციელების გეგმები, ვადების ჩათვლით, ცნობილია საზოგადოებისათვის და ბოლოს, როცა ეს გეგმები რეალურად ხორციელდება.

62. ამ მოხსენებაში მოცემული რეკომენდაციების შესრულება ხელს შეუწყობს უსაფრთხოების სფეროში მოდერნიზების შეუქცევად განხორციელებას და საქართველოს ეროვნული სტრატეგიული მიზნის – ევრო-ატლანტიკურ საზოგადოებაში სრული ინტეგრაციის – მიღწევას.

გენერალი სერ **გარი ჯონსონი**
თავმჯდომარე

14 მარტი 2005



Foreword to 2005 Report of International Security Advisory Board by Ambassador Gela Bezhuashvili, National Security Advisor to the President of Georgia – Secretary of the National Security Council

